

სს ვაზაკო

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	3

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	4
2. მომზადების საფუძველი	4
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	4
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	9
5. ცვლილებები წარდგენაში	11
6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12
8. ძირითადი საშუალებები	12
9. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	12
10. პირობითი ვალდებულებები	13
11. საკუთარი კაპიტალი	13
12. შემოსავალი მომსახურებიდან	13
13. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	14
14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14
15. კაპიტალის მართვა	15
16. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	15

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშ- ვნები	31 დეკემბერი 2022 წ.	31 დეკემბერი 2021 წ.
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	270,781	335,163
არამატერიალური აქტივები		6,274,647	5,612,954
სულ გრძელვადიანი აქტივები		6,545,428	5,948,116
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		-	214
საფაქრო და სხვა მოთხოვნები	7	292,108	914,475
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	204,012	75,567
სულ მოკლევადიანი აქტივები		496,120	990,256
სულ აქტივები		7,041,548	6,938,373
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		1,766,169	1,662,519
გაუნაწილებელი მოგება		3,481,504	3,447,894
სულ საკუთარი კაპიტალი		5,247,673	5,110,412
ვალდებულებები			
სასესხო ვალდებულებები		1,294,267	486,578
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,294,267	486,578
საფაქრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	9	256,474	1,158,693
საგადასახადო ვალდებულებები		243,134	182,689
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		499,608	1,341,382
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		7,041,548	6,938,373

4-15 გვერდებზე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა სს „ვაბაკოს“ დირექტორის მიერ 2023 წლის 29 სექტემბერს და ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:

სოსო ფიფია

დირექტორი

29 სექტემბერი, 2023 წ.



სრული შემოსავლის ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშ- ვნები	2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
შემოსავალი მომსახურებიდან	12	2,461,741	1,357,347
მომსახურების თვითღირებულება		(252,161)	(215,209)
საერთო მოგება		2,209,581	1,142,138
მიწოდების ხარჯი		(1,517)	(41,563)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	13	(1,362,576)	(1,191,672)
ცვეთა და ამორტიზაცია	8	(76,477)	(89,221)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(579,383)	(1,466,905)
საოპერაციო მოგება / (ზარალი)		189,628	(1,647,223)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		(156,017)	5,545,065
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		33,611	3,897,842

სს ვაზაკო
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ფინანსური ანგარიშგება

	შენიშვნები	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი, 2020 წ.		470,719	(449,949)	20,770
წლის მოგება		1,191,800	3,897,842	5,089,642
31 დეკემბერი, 2021 წ.		1,662,519	3,447,894	5,110,412
წლის მოგება		103,650	33,610	137,260
31 დეკემბერი, 2022 წ.		1,766,169	3,481,504	5,247,673

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „ვაზაკო“ (შემდგომში „კომპანია“) არის 2013 წლის 09 სექტემბერს დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელმაც 2018 წლის 09 აგვისტოს შეირჩია შპს „ვაზაკო გრუპი“, ხოლო 2018 წლის 23 აგვისტოს გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ზოჭორიშვილის ქ. #37, ბ 221. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა კომპიუტერული პროგრამების შექმნა და მასზე ტექნიკური მხარდაჭერის გაწევა.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამეთვალყურეო საბჭოს წევრები იყვნენ:

თავმჯდომარე/წევრი: ნიკოლოზ გამყრელიძე;

წევრი: ნინო ქორთუა;

წევრი: ირაკლი გოგია

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამეთვალყურეო საბჭოს წევრები იყვნენ:

თავმჯდომარე/წევრი: ირაკლი გოგია;

თავმჯდომარის მოადგილე/წევრი: მედეა ჩხაიძე;

წევრი: ნინო ქორთუა;

წევრი: ქეთევან კალანდარიშვილი

2. მომზადების საფუძველი

მომზადების საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში „ფასს“) და ფასს-ის ინტერპრეტაციების კომიტეტის (შემდგომში „ფასსკ“) ინტერპრეტაციების შესაბამისად. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვა რამე არაა მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსი, გააგრძელოს საქმიანობა უახლოეს მომავალში, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება მიმდინარე ანგარიშებისგან, რომელთა კონვერტირებაც დაუყოვნებლივ შეიძლება წინასწარ ცნობილ თანხად, აქვს ღირებულების შეცვლის უმნიშვნელო რისკი და თავისუფალია სახელშეკრულებო ვალდებულებებისაგან.

მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები

მომსახურებიდან მისაღები ანგარიშების აღიარება თავდაპირველად ხდება გარიგების ფასად, რომელიც ითვლება სამართლიან ღირებულებად წარმოქმნის თარიღისთვის. მისაღები ანგარიშების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურება მოწმდება მაშინ, თუ გარკვეული მოვლენები ან გარემოებები მიუთითებს იმაზე, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შეიძლება ვერ მოხერხდეს, და გაუფასურების

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები (გაგრძელება)

ზარალი აღირიცხება მოგებაში ან ზარალში. გადახდის ვადებზე მოლაპარაკება მხარეებთან, ცალ-ცალკე ხდება და 30-180 კალენდარულ დღეს შეადგენს.

მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები

ფინანსური აქტივები

ფასს 9-ის მოქმედების არეალში მოქცეული ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებულად ან როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულად, რომელიც უფრო მარტებულია. ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები მხოლოდ იმ აქტივების შემთხვევაში, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში. კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი პირველადი აღიარებისას.

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვები

კომპანია თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, გაუფასურდა თუ არა ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი. თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების გაუფასურების შედეგად წარმოიქმნა ზარალი, ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას შორის (გარდა სამომავლო დანაკარგებისა კრედიტზე, რომელსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია), რომლებიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. გაუფასურების ზარალის ოდენობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, თუ შესაძლებელია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის) აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც დგება შემდეგი პირობები:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არც გადაუცია და არც შეუნარჩუნებია აქტივის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი ან კონტროლი აქტივზე, კომპანიის მიერ აქტივის აღიარება ხდება ამ აქტივში მონაწილეობის შენარჩუნების პირობით. მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს ერთგვარი გარანტიის ფორმა გადაცემულ აქტივზე, რომელიც ფასდება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მათთან დაკავშირებული ვალდებულება შესრულდება, გაბათილდება ან ამოიწურება და თუ მისი პირობები არსებითად შეიცვლება.

ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი. შემოსავლისა და ხარჯის ურთიერთგადაფარვა მოგებაში ან

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)**ურთიერთგადაფარვა (გაგრძელება)**

ზარალში არ მოხდება, თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით. კომპანიას არ მოუხდენია თავისი აქტივებისა და ვალდებულებები, ან შემოსავლისა და ხარჯების ურთიერთგადაფარვა.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

საანგარიშგებო თარიღისთვის კომპანია გადააფასებს თავის წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში). სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედეგად:

- აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე, ან
- ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე სახარბიელო ბაზარი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

ძირითადი საშუალებები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება. ამ თანხაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია. ძირითადი საშუალებების თვითღირებულებით აღრიცხული კლასების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება გადაფასებასთან მიმართებით, როდესაც გარკვეული მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები იმაზე მიანიშნებს, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯის სახით.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	წელი
მანქანა-დანადგარები	5
ოფისის აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
იჯარით აღებული კეთილმოწყობა	10

აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და შესაბამისად კორექტირება ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას. ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

საიჯარო ქონების გაუმჯობესებების ცვეთა ხდება ათი წლის განმავლობაში ან შესაბამისი საიჯარო აქტივის მთლიანი ვადის განმავლობაში, თუ ეს უკანასკნელი უფრო ხანმოკლეა. აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და შესაბამისად კორექტირება ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საზღაურის სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებულ საპროცენტო ხარჯს. ისეთი აქტივის შემენისთვის, აგებისა თუ წარმოებისთვის უშუალოდ მიკუთვნებადი სესხის მიღების ხარჯები, რომლის მიზნობრივი მოხმარებისთვის ან რეალიზაციისთვის მომზადებასაც საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, კაპიტალიზდება, როგორც ამ აქტივის ღირებულების ნაწილი. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა სახვა დანახარჯი დადგომისთანავე გატარდება წლის ხარჯად. სესხის მიღების ხარჯი შედგება პროცენტისგან და სხვა ხარჯებისგან, რომლებსაც საწარმო გაიღებს სესხის მიღებასთან დაკავშირებით.

გადასახადით დაბეგვრა

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით. გადავადებული მოგების გადასახადები გათვალისწინებულია ყველა დროებით სხვაობაზე, რომელიც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო დასაბეგრ საფუძველსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის.

2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე 15/85 წმინდა განაწილებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს. საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები შესულია ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი არამატერიალური აქტივის ღირებულება წარმოადგენს მის სამართლიან ღირებულებას შესყიდვის თარიღისათვის. პირველადი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივების (გაგრძელება)

და გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია სასარგებლო მომსახურების ოთხიდან ათ წლამდე ვადის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას. ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

კომპიუტერული პროგრამების მართვასთან დაკავშირებული დანახარჯები მათი გაწევისთანავე აღირიცხება ხარჯების ნაწილში. პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის ხარჯების (დაკავშირებული ახალი, მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირებასა და დიზაინთან) აღიარება არამატერიალურ აქტივად მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც კომპანიას აქვს ამ პროცესის ბოლომდე მიყვანის სურვილი და ტექნიკური უნარი იმ მოცულობით, რომ შესაძლებელი იყოს პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება, აგრეთვე აქტივს შეეძლოს მომავალში ეკონომიკური სარგებლის მოტანა განვითარების ხარჯების გათვალისწინებით, ასევე უნდა არსებობდეს რესურსები პროცესის ბოლომდე მიყვანისთვის და შესაძლებელი იყოს განვითარების ხარჯების სანდოდ შეფასება. პროგრამული უზრუნველყოფის შექმნაზე გაწეული სხვა დანახარჯების აღრიცხვა მათი გაწევისთანავე ხდება სხვა ხარჯების ნაწილში.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

შემოსავალი მომსახურებიდან

კომპანია შემოსავლებს აღიარებს იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ.

შემოსავალი წარმოდგენილია კორექტირებების და ფასდაკლებების გათვალისწინების გარეშე, რომლებიც კონტრაქტებთან დეტალური ანგარიშების შეჯერების შედეგად წარმოიშვება. კომპანიის მთლიანი შემოსავალი (კორექტირებებისა და ფასდაკლებების გამოქვითვამდე) ეყრდნობა ოფიციალურ ანგარიშ-ფაქტურებს, რომლებიც წარდგენილია მომხმარებლებისთვის და ოფიციალურად მიღებულია მათ მიერ.

მომსახურების თვითღირებულება

მომსახურების ღირებულება წარმოადგენს გაწეული მომსახურებიდან მიღებულ შემოსავალთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს, მათ შორის დაქირავებული პერსონალის ხელფასებსა და გასამრჯელოს, კომუნალური მომსახურებისა და სხვა პირდაპირ დანახარჯებს.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის წარსადგენი ვალუტა და კომპანიის ყველა კომპონენტის სამუშაო ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული შემოსულობა და ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, სავალუტო ოპერაციებიდან

მიღებული წმინდა ზარალის ნაწილში. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის სახელშეკრულებო გაცვლით კურსსა და ოპერაციის დღეს სებ-ის გაცვლით კურსს შორის სხვაობები მოგებაში ან ზარალში ასახულია სავალუტო ოპერაციებიდან მიღებულ წმინდა ზარალში. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, იყო

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)**უცხოური ვალუტის კონვერტაციის (გაგრძელება)**

	31 დეკემბერი, 2022	31 დეკემბერი, 2021
აშშ დოლარი	2.7020	3.0976
ევრო	2.8844	3.5040

ჩამოწერის პოლიტიკა

კომპანია ფინანსურ აქტივებს ჩამოწერს მაშინ, როდესაც წინასწარ განსაზღვრულ მაჩვენებლებზე დაყრდნობით დაასკვნის, რომ მათი ამოღების გონივრული მოლოდინი აღარ არსებობს. ეს მაჩვენებლებია კონტრაქტის გაკოტრება, სასამართლო გადაწყვეტილება ან ორ წელზე მეტი ხნით ვადაგადაცილება. კომპანია აგრძელებს ნებისმიერი დებიტორული დავალიანების ამოღებას, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილებით არ არის მიჩნეული უიმედოდ, მიუხედავად ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობისა. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის გამო კომპანიას არ შეუძლია დებიტორული დავალიანების ამოღება, თუ გასულია სამი წელი კონტრაქტისთვის გაგზავნილი ბოლო წერილობითი შეხსენების თარიღიდან. კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს ჩამოწერს მაშინ,

როდესაც ვადის მათი ხანდაზმულობის ვადა. ასეთი ჩამოწერების აღიარება ხდება სხვა საოპერაციო შემოსავალში.

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ანგარიშგების მიმდინარე პერიოდისთვის ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა მოცემულია ქვემოთ:

- შესწორებები ბასს (IAS) 37-ში: „წამგებიანი კონტრაქტები - კონტრაქტის შესრულების ხარჯები“.
- შესწორებები ფასს (IFRS) 3-ში: „კონცეპტუალური საფუძვლების მითითება“.
- ცვლილებები ბასს (IAS) 16-ში: ძირითადი საშუალებები- შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე.
- ფასს (IFRS) 1: „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“ - შვილობილი საწარმო, როგორც საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს-ს.
- ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ - ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის „10 პროცენტის“ ტესტში მოყვანილი საკომისიოები.
- ბასს (IAS) 41: „სოფლის მეურნეობა“ - გადასახადით დაბეგვრა სამართლიანი ღირებულების შეფასებებში.

მოსალოდნელი არ არის, რომ ამ ახალ სტანდარტებს არსებითი გავლენა ექნება კომპანიის განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭირო გახდა გარკვეული შეფასებების და დაშვებების გამოყენება. ეს შეფასებები და დაშვებები აისახება ანგარიშგების თარიღისთვის აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე პირობითი ვალდებულებების აღრიცხულ ოდენობაზე და ასევე გავლენას ახდენს პერიოდის გაცხადებულ შემოსავალზე და ხარჯებზე. მიუხედავად იმისა, რომ შეფასებები ეყრდნობა ხელმძღვანელობის ინფორმირებულობას და ანგარიშგების თარიღისთვის არსებული მოვლენების

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ანალიზს, ისინი შეიძლება ზუსტად არ ასახავდეს რეალობას. ქვემოთ განხილულია ანგარიშგების დღეს მომავლის შესახებ გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებების უზუსტობის სხვა ძირითადი მიზეზები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფინანსურ პერიოდში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი კორექტივების შეტანის აუცილებლობა გამოიწვიოს.

მომსახურებიდან მისაღები ანგარიშების გაუფასურება

მომსახურებიდან მისაღები ანგარიშების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული მომხმარებლების ანგარიშების ამოღება. თუ არსებობს ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მომხმარებლის კრედიტუნარიანობის გაუარესების ნიშნები, შესაბამისი მისაღები ანგარიშები გაუფასურებულად ჩაითვლება. ამგვარი გაუარესების ნიშნების დადგენის მთავარი კრიტერიუმია მომხმარებლების მიერ დავალიანების დაფარვის ხარისხი, რომელიც ფასდება ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობით (ე.ი. რამდენი დღით დაგვიანდა გადახდა). მომხმარებლების მიერ მიმდინარე და ძველი დავალიანების დაფარვის შესაბამისი ანალიზის საფუძველზე კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. თუ ასეთი მტკიცებულება არსებობს, გამოიყენება სათანადო დარეზერვების განაკვეთი, რომელიც ასახავს დავალიანების დაფარვის კონკრეტულ კატეგორიასთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკს. თუ ასეთი მტკიცებულება არ არსებობს, შესაბამისი მისაღები ანგარიშები ფასდება კოლექტიურად, როგორც კარგი ხარისხის მქონე, მაღალი საკრედიტო ხარისხის მქონე მისაღებ ანგარიშებში, რაც ფაქტობრივად გულისხმობს ვადაგადაცილებული დღეების არაარსებით ოდენობას.

შეფასების მიზნებისთვის, ხელმძღვანელობის განსჯით, ისტორიულ ტენდენციებზე დაყრდნობით შეიძლება ზარალის პროგნოზირება და ამ მეთოდის გამოყენება შეიძლება ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის ამოღებადი დავალიანების მოცულობის შესაფასებლად. კომპანია შეფასებების გადახედვას ახდენს თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს პროგნოზებისგან და კომპანიის შეფასება შეიძლება მომავალში გადაისინჯოს უარყოფითად ან დადებითად, იმისდა მიხედვით, თუ როგორია შედეგი ან მოლოდინი, დავალიანების გარშემო არსებული გარემოებების საფუძველზე. გაუფასურების რეზერვის დათვლისას ვადაგადაცილებული საექვო მოთხოვნების ოდენობა არ იყო მატერიალური თანხა.

მიმდინარე მოგების გადასახადის აღიარება

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის საქართველოს მოქმედი ან ფაქტობრივად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის ძირითად ბიზნესსაქმიანობას აწარმოებს განაწილებული მოგების გადასახადის რეჟიმით, რაც ნიშნავს, რომ გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება გადასახადით 2017 წლიდან. შესაბამისი ნორმატიული ბაზა საქართველოში ცვალებადია და სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

5. ცვლილებები წარდგენაში

კომპანია მიმდინარე წელსაც წინა წლების მიდგომას იყენებს ფინანსური ანგარიშგების წარდგენისას, მხოლოდ რამდენიმე მუხლი ცვლილება შევიდა რის გამოც ქვემოთ არსებული ინფორმაცია შეიცვალა:

ფინანსური მდგომარეობა	01.01.2022	სხვაობა	31.12.2021
ძირითადი საშუალებები	335,163	(33,785)	368,948
არამატერიალური აქტივები	5,612,954	5,612,954	-
მარაგები	-	(1,943)	1,943
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	914,475	694,647	219,828
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	75,567	(1,666)	77,233
სულ აქტივები	6,938,373	6,270,207	667,952
სააქციო კაპიტალი	1,662,519	60,498	1,602,021
გაუნაწილებელი მოგება	3,447,894	5,679,389	(2,231,495)
სულ საკუთარი კაპიტალი	5,110,412	5,739,886	(629,474)
სასესხო ვალდებულებები	486,578	486,578	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	486,578	486,578	-
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	1,158,693	(138,733)	1,297,426
საგადასახადო ვალდებულებები	182,689	182,689	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1,341,382	43,956	1,297,426
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	6,938,373	6,270,421	667,962

საქმიანობის შედეგები	01.01.2022	სხვაობა	31.12.2021
ამონაგები	1,357,347	409,087	948,260
ამონაგების თვითღირებულება	(215,209)	(215,209)	-
საერთო მოგება/(ზარალი)	1,142,138	193,878	948,260
კომერციული ხარჯები	(41,563)	(41,563)	-
პერსონალის შენახვის ხარჯები	(1,191,672)	1,711,466	(2,903,138)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	(89,221)	5,571	(94,792)
სხვა საერთო ხარჯები	(1,466,905)	(244,843)	(1,222,062)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)	(1,647,223)	1,624,509	(3,271,732)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	5,545,065	126,772	5,418,293
მოგება/(ზარალი) დაბეგრამდე	3,897,842	1,751,281	2,146,561

6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
მიმდინარე და მოთხოვნამდე ანგარიშები ბანკებში	204,012	75,567
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სულ	204,012	75,567

ხელმძღვანელობა არ მოელის ზარალს, რომელიც გამოწვეულია ისეთი კონტრაქტების მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით, სადაც განთავსებულია ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები - მათი საბალანსო და სამართლიანი ღირებულებები არსებითად არ განსხვავდება.

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	269,951	770,480
წინასწარ გაწეული ხარჯები	22,157	143,995
სულ მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები, წმინდა	292,108	914,475

ზემოთ წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებებს 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

8. ძირითადი საშუალებები

კომპანია თავის საავადმყოფოების შენობებსა და დაუმთავრებელი მშენებლობის აქტივებს აგირავებს, როგორც მშობელი კომპანიის ნასესხები სახსრების უზრუნველყოფის საგნებს.

	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონება	ბილოგიური აქტივები და მცენარეები	სულ
თვითღირებულება						
31 დეკემბერი, 2020 წ.	55,102	168,977	54,664	216,017	966	495,726
შემოსვლები		36,213	763			36,976
31 დეკემბერი, 2021 წ.	55,102	205,190	55,427	216,017	966	532,702
შემოსვლები	-	71,519	-	960	-	72,480
გასვლები	(55,102)	(50,987)	(3,907)	-	-	(109,996)
31 დეკემბერი, 2022 წ.	-	225,722	51,520	216,977	966	495,186
31 დეკემბერი, 2020 წ.	13,112	52,743	28,382	23,145	274	117,656
ცვეთის დანარიცხი	11,032	33,681	10,937	24,039	193	79,883
31 დეკემბერი, 2021 წ.	24,145	86,423	39,320	47,184	468	197,539
ცვეთის დანარიცხი	-	32,176	7,594	24,160	193	64,123
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	(24,145)	(11,322)	(1,791)	-	-	(37,258)
31 დეკემბერი, 2022 წ.	-	107,278	45,123	71,344	661	224,405
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი, 2020 წ.	41,990	116,234	26,282	192,872	-	378,070
31 დეკემბერი, 2021 წ.	30,957	118,767	16,107	168,833	-	335,163
31 დეკემბერი, 2022 წ.	-	118,444	6,398	145,634	305	270,781

9. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	84,884	864,010
მიღებული ავანსები	64,641	67,922
საპენსიო გადასახადი	106,950	226,761
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება, სულ	256,474	1,158,693

10. პირობითი ვალდებულებები**იურიდიული საკითხები**

ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში შესაძლებელია კომპანიის წინააღმდეგ სარჩელი აღიმართოს. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ თუ რაიმე სარჩელის გამო კომპანიას დაეკისრება პასუხისმგებლობა, ამ პასუხისმგებლობის მთლიანი მოცულობა უარყოფითად არ იმოქმედებს კომპანიისა და კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო საქმიანობის შედეგებზე.

გადასახადები

საკმაოდ ხშირად ხდება საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის არაერთგვაროვანი განმარტება და ცვლილება. შესაბამის საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ ექვემდებარებოდნენ ხელმძღვანელობის მხრიდან კანონმდებლობის ამგვარი ინტერპრეტაციები კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებაში. საქართველოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში საგადასახადო ორგანოებს სულ უფრო მკაცრი პოზიცია უჭირავთ და ამის გამო შეიძლება ის ოპერაციები და საქმიანობა, რომლებიც წარსულში ექვემდებარებოდა და ამის გამო შეიძლება ის ოპერაციები და საქმიანობა, რომლებიც წარსულში ექვემდებარებოდა, ახლა სადავო გახდეს. ამის გამო კომპანიას შეიძლება დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. პრაქტიკული არ იქნება შესაძლო დაუზუსტებელი ზარალის ოდენობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან მათი უარყოფითი შედეგების ალბათობის განსაზღვრა. საგადასახადო ორგანოები უფლებამოსილნი არიან შეამოწმონ შემოწმების პერიოდის წინა სამი კალენდარული წლის მომცველი პერიოდი. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცვას.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისებული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები დარჩება უცვლელად.

პირობითი ფინანსური ვალდებულებები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ გააჩნდა პირობითი ვალდებულებები.

11. საკუთარი კაპიტალი**საწესდებო კაპიტალი**

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 1,766,169 ლარი (2021 წ. 31 დეკემბერი: 1,662,519 ლარი).

12. შემოსავალი მომსახურებიდან

	2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
შემოსავალი მომსახურებიდან	398,795	592,647
შემოსავალი ჯგუფის წევრებთან განხორციელებული ოპერაციებიდან	1,488,607	636,433
შემოსავალი მიღებული საზღვარგარეთ გაწეული მომსახურებიდან	574,340	128,267
სულ შემოსავალი მომსახურებიდან	2,461,741	1,357,347

13. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

	2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
შრომის ანაზღაურება	1,310,241	1,175,017
თანამშრომელთა სარგებელი	45,589	8,503
ტრანსპორტირების ხარჯები	3,232	8,153
თანამშრომლის გადამზადების ხარჯი	3,514	-
სულ ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	1,362,576	1,191,672

სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომლების საშუალო რაოდენობა, 2022 წელს 49-ს გაუტოლდა.

14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
არარეზიდენტის მომსახურება	173,422	580,648
საუჯარო ქირა	88,690	95,694
ფიზიკური პირების მომსახურების ხარჯები	70,572	189,665
საპენსიო გადასახადის ხარჯი	47,322	69,235
დაზღვევის ხარჯები (ჯანმრთელობის დაზღვევა)	34,635	39,545
კომუნიკაციის ხარჯი	32,107	54,918
კურიერის ხარჯები	29,681	67,773
მომსახურების ხარჯები	28,234	47,430
კომუნალური ხარჯები	18,269	16,060
სამეურნეო ხარჯები	9,736	5,940
იურიდიული მომსახურების ხარჯები	6,156	21,981
ეიზარ მომსახურების ხარჯები	5,835	8,447
ქონების გადასახადი	3,069	3,628
საკანცელარიო ხარჯები	2,142	3,111
ბანკის საკომისიო	1,621	2,041
წარმომადგენლობითი ხარჯები	917	681
მივლინების ხარჯები	777	1,131
ნოტარიული ხარჯები	489	-
თარგმნის მომსახურების ხარჯები	188	-
სარეკლამო ხარჯები	-	246,070
საფოსტო მომსახურების ხარჯები	-	103
კომპიუტერის ხარჯები	-	2,208
სხვა საერთო ხარჯები	25,519	10,596
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	579,383	1,466,905

2022 წელს საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები ძირითადად მოიცავდა არარეზიდენტის მომსახურების საფასურს, საიჯარო ქირას, ფიზიკური პირის მომსახურების საფასურს და ოპერაციებთან დაკავშირებული სხვა გადასახადების ხარჯებს.

15. კაპიტალის მართვა

მართული კაპიტალი შედგება სააქციო კაპიტალისგან და გაუნაწილებელი მოგებისგან, რომელშიც შედის მიმდინარე წლის მოგება ან ზარალი. კომპანიას განსაზღვრული აქვს კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პრინციპები და იმ რისკების მართვის მეთოდები, რომლებიც მისი კაპიტალის მდგომარეობაზე მოქმედებს.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით მფლობელებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- კაპიტალის ეფექტურად მართვა და საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა იმის უზრუნველყოფით, რომ გამოყენებულ კაპიტალზე უკუგება აკმაყოფილებდეს მფლობელთა მოთხოვნებს;
- მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება, საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობა და მფლობელების მოთხოვნების დაკმაყოფილება.

16. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. დაკავშირებულ მხარეების ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომელიც ქვემოთაა განხილული, განხორციელდა გაშლილი ხელის პრინციპით. დაკავშირებულ მხარეთა შორის დადებული გარიგებების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი წლის განმავლობაში ასეთი იყო:

	31 დეკემბერი, 2022 წ.		31 დეკემბერი, 2021 წ.	
	მშობელი კომპანია*	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები**	მშობელი კომპანია*	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები**
აქტივები				
მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები		157,960		607,609
		157,960		607,609
ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება	(1,294,267)	(24,338)	(486,578)	(625,972)
	(1,294,267)	(24,338)	(486,578)	(625,972)